

სახელმწიფო შესყიდვებისათვის მოხამზადებელი დოკუმენტაციის, პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი

ოქმი №2

ქ. მცხეთა

17 მაისი 2012 წელი

კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

- |                    |   |  |
|--------------------|---|--|
| თვიმურაზ აბაშიძე   | - | მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი<br>-კომისიის თავმჯდომარე;  |
| ლერი ტყეშელაძე     | - | ეკონომიკის, სტატისტიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი-კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;  |
| ქეთევან ვაღაძე     | - | საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის, სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების უფროსი სპეციალისტი-კომისიის მდივანი;   |
| ზურაბ მარსაგიშვილი | - | ეკონომიკის, სტატისტიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის, არქიტექტურის და ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილების უფროსი-კომისიის წევრი; |
| გიორგი პაპაშვილი   | - | საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის, სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების მთავარი სპეციალისტი- კომისიის წევრი;   |

- ილია ციციშვილი - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის, ბიუჯეტის დაგეგმვის განყოფილების უფროსი-კომისიის წევრი;
- მერაბ თუხარელი - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის, სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების უფროსი- კომისიის წევრი;
- ილია ოდიშელიძე - მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის სამსახურის უფროსი-კომისიის წევრი;
- ილია ჯიშკარიანი - ეკონომიკის, სტატისტიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის, ქონების აღრიცხვის, მართვის და სტატისტიკის განყოფილების უფროსი-კომისიის წევრი;

**1. დღის წესრიგი:**

მცხეთის მუნიციპალიტეტის მიერ 4 მაისს გამოცხადებული №452 (უნიკალური ნომრით) კონკურსის „მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. წილკანში სპორტული დარბაზის მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა“-ზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვა და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა.

**2. მოხსენეს:**

აღმოჩნდა, რომ „მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. წილკანში სპორტული დარბაზის მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა“-ზე გამოცხადებულ კონკურსში საკონკურსო წინადადება დაგვიანებით წარმოადგინა კონკურსანტმა შპს „ექსპერტმა“ (ს/კ 236072664). საკონკურსო განცხადების მიხედვით საკონკურსო წინადადების

მიღება დასრულდა 2012 წლის 11 მაისს 18 საათზე. შპს „ექსპერტმა“ (ს/კ 236072664) საკონკურსო წინადადება წარმოადგინა 15 მაისს.

3. კომისიამ დაადგინა: კონკურსი №452 ჩაითვალოს არშემდგარად, საკონკურსო განცხადების პირობების შესაბამისად კონკურსანტს დაუბრუნდეს დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და გამოცხადდეს განმეორებითი კონკურსი.

კომისიის თავმჯდომარე:

თ. აბაშიძე

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:

ლ. ტყემალაძე

კომისიის მდივანი:

ქ. ქაღალაძე

კომისიის წევრები:

ი. ჯიშკარიანი

ს. მარსაგიშვილი

გ. პაპაშვილი

ი. ციციშვილი

მ. თუხარელი

ი. ოდიშელიძე